პროლეტარეზო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშათმფლელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 246 (10640) | შაბათი, 20 ოქტომბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იაპონიის ერთობლივი დეკლარაცია (1-ლი გვერდი).

ოქმი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იაპონიას შორის ვაჭრობის განვითარებისა და ურთიერთისათვის უპირატესი მფარველობით მოსარგებლე ერის რეჟიმის მინიჭების შესახებ (1-ლი გვერდი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იაპონიის დოკუმენტებს (1-ლი გვერდი).

მაო ძე-დუნის, ლიუ შაო-ცისა და ჯოუ ენ-ლაის დეპეშა ამხანაგების კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინისა და დ. ტ. შეპილოვისადმი (1-ლი გვერდი).

გავაუმჯობესოთ პოლიტიკური განათლების ხარისხი (მე-2 გვერდი).

გ. წვერავა. — სააგიტაციო საუბრების სტატისტიკური ბრიგადაში (მე-2 გვერდი).

ა. თომაძე. — დარში და ავდარში (მე-3 გვერდი).

ნ. ტურიაშვილი. — ეზაზენეზა ფბილისური რეზერვუარები (მე-3 გვერდი).

დ. გაგლოევი. — ... განვითარებას სამხრეთ ... (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იაპონიის ერთობლივი დეკლარაცია

1956 წლის 13-დან 19 ოქტომბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იაპონიის დელეგაციათა მოლაპარაკება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი,

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი,

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო და

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო.

იაპონიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

პრემიერ-მინისტრი იციირო ხატოიამა,

მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრი იციირო კონო და

წარმომადგენელთა პალატის დეპუტატი სიუნიცი მაცუმოტო.

მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა ფართო და გულახდილი გაზიარება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის საკითხებზე. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და იაპონია სავსებით დათანხმდნენ, რომ მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განვითარებას შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

ამ მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იაპონიის დელეგაციებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება შემდეგზე:

1. ომის მდგომარეობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის წყდება ამ დეკლარაციის ძალაში შესვლის დღიდან და მათ შორის აღდგენილ იქნება მშვიდობა და კეთილმეზობლური მეგობრული ურთიერთობა.

2. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის აღდგენილ იქნება დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა. ამასთან იგულისხმება, რომ ორივე სახელმწიფო დაუყოვნებლივ გაცვლის დიპლომატიურ წარმომადგენლებს ელჩის რანგით, ხოლო შესაბამისად სსრ კავშირისა და იაპონიის ტერიტორიაზე საკონსულოების შექმნის საკითხი გადაიჭრება დიპლომატიური წესით.

3. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და იაპონია ადასტურებენ, რომ ისინი თავიანთ ურთიერთობაში იხელმძღვანელებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებით, კერძოდ, ქვემოთ მოყვანილი პრინციპებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამ წესდების 2 მუხლში:

ა) თავიანთი საერთაშორისო დავა გადაჭრან მშვიდობიანი საშუალებებით იმგვარად, რომ საფრთხე არ შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობას და უშიშროებას და სამართლიანობას;

ბ) თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობაში თავი შეიკავონ ძალის, მუქარისა ან მისი გამოყენებისაგან როგორც ყოველი სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობისა ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე სხვა რაიმე საშუალებით, რაც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან.

სსრ კავშირი და იაპონია ადასტურებენ, რომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51 მუხლის შესაბამისად, თვითეულ სახელმწიფოს აქვს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის განუყოფელი უფლება.

სსრ კავშირი და იაპონია ურთიერთ კისრულობენ ვალდებულებას არ ჩაერიონ პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთმანეთის საშინაო საქმეებში ეკონომიური, პოლიტიკური ან იდეოლოგიური ხასიათის რაიმე მოტივის გამო.

4. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მხარს დაუჭერს იაპონიის თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ.

5. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ყველა მსჯავრდადებული იაპონელი მოქალაქე ამ ერთობლივი დეკლარაციის ძალაში შესვლის შემდეგ განთავისუფლებულ და რეპატრიირებულ იქნება იაპონიაში.

რაც შეეხება იმ იაპონელებს, რომელთა ბედი ცნობილი არ არის, სსრ კავშირი, იაპონიის თხოვნით, განაგრძობს მათი ბედის გამორკვევას.

6. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი უარს ამბობს ყველა სარეპარაციო პრეტენზიაზე იაპონიისადმი.

სსრ კავშირი და იაპონია ურთიერთ უარს ამბობენ შესაბამისად თავისი სახელმწიფოს, მისი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების მხრივ მეორე სახელმწიფოსადმი, მისი ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისადმი ყველა პრეტენზიაზე, რომლებიც წარმოიშვა ომის შედეგად 1945 წლის 9 აგვისტოდან.

7. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და იაპონია შეთანხმდნენ, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში დაიწყონ მოლაპარაკება ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა დადების შესახებ, რათა მყარ და მეგობრულ საფუძველზე დააყენონ თავიანთი ურთიერთობა ვაჭრობის, სავაჭრო ზღვაოსნობის დარგში და სხვა კომერციული ურთიერთობა.

8. მოსკოვში 1956 წლის 14 მაისს ხელმოწერილი კონვენცია წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის გაშლილ ზღვაში თევზჭერის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის და შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის იმ ადამიანთა გადარჩენის დროს თანამშრომლობის შესახებ, რომლებიც უბედურებას განიცდიან ზღვაში, ძალაში შევა ამ ერთობლივი დეკლარაციის ძალაში შესვლასთან ერთად.

ითვალისწინებენ რა როგორც სსრ კავშირის, ისე იაპონიის დაინტერესებან თევზის ბუნებრივი რესურსებისა და ზღვის სხვა ბიოლოგიური რესურსების შენარჩუნებითა და რაციონალური გამოყენებით, სსრ კავშირი და იაპონია თანამშრომლობის სულისკვეთებით მიიღებენ ღონისძიებებს თევზჭერის რესურსების განვითარების შენარჩუნების, აგრეთვე გაშლილ ზღვაში თევზის ჭერის რეგულირებისა და შეზღუდვის მიზნით.

9. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და იაპონია შეთანხმდნენ განაგრძონ მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ მას შემდეგ, რაც აღდგენილ იქნება ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის.

ამასთან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელსაც სურს დააკმაყოფილოს იაპონიის სურვილები და ითვალისწინებს იაპონიის საზელმწიფოს ინტერესებს, თანახმაა გადასცეს იაპონიას ხაბომაის კუნძულები და კუნძული სიკოტანი, მაგრამ ისე, რომ იაპონიისათვის ამ კუნძულების ფაქტიური გადაცემა მოხდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ.

10. ეს ერთობლივი დეკლარაცია რატიფიცირებულ უნდა იქნას. იგი ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე ვადაში ტოკიოში.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად ქვემოთ ხელისმომწერმა რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ ერთობლივ დეკლარაციას.

შედგენილია ორ ცალად, თვითეული რუსულ და იაპონურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

მოსკოვი, 1956 წლის 19 ოქტომბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით	იაპონიის მთავრობის რწმუნებით
ნ. ბულგანინი	იციირო ხატოიამა
დ. შეპილოვი	იციირო კონო
	სიუნიცი მაცუმოტო

ოქმი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის ვაჭრობის განვითარებისა და ურთიერთისათვის უპირატესი მფარველობით მოსარგებლე ერის რეჟიმის მინიჭების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იაპონიის მთავრობები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იაპონიის იმ ერთობლივი დეკლარაციის 7 პარაგრაფის დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში 1956 წლის 19 ოქტომბერს, შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა დადებამდე, რომლებიც გათვალისწინებულია ხსენებული ერთობლივი დეკლარაციის 7 პარაგრაფით, ხელშეკრულების დამდები მხარეები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განავითარონ ვაჭრობა ორივე სახელმწიფოს შორის, რისთვისაც ხელშეკრულების დამდები თვითეული მხარე შეუქმნის ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარეს შემდეგ რეჟიმს:

ა) უპირატესი მფარველობით მოსარგებლე ერის რეჟიმს ყველა იმ საბაჟო გადასახდელის, გამოსაღების, საბაჟო ფორმალობისა და სხვა წესების მხრივ, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის საქონლის იმპორტთან და საკუთარი საქონლის ექსპორტთან ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარეში;

ბ) უპირატესი მფარველობით მოსარგებლე ერის რეჟიმს ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის გემების მიმართ ნავსადგურებში, ამასთან აღნიშნული რეჟიმი გამოყენებულ იქნება გემების შესვლის, გასვლისა და დგომის მხრივ, ყველა გადასახადისა და გამოსაღების მხრივ, აგრეთვე ტვირთების დატვირთვისა და გადმოტვირთვის, სათბობით, წყლითა და სურსათით მომარაგების მხრივ.

2. წინა I პარაგრაფის დადგენილებანი არ შეზღუდავენ ხელშეკრულების დამდები თვითეული მხარის უფლებას გამოიყენოს ყოველგვარი აკრძალვა ან შეზღუდვა, რომელთა მიზანია მისი უშიშროების საარსებო ინტერესების დაცვა.

ეს ოქმი რატიფიცირებულ უნდა იქნას. იგი ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე ვადაში ტოკიოში.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად ქვემოთ ხელისმომწერმა რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შედგენილია ორ ცალად, თვითეული რუსულ და იაპონურ ენებზე, ამასთანავე ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

მოსკოვი, 1956 წლის 19 ოქტომბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით	იაპონიის მთავრობის რწმუნებით
ნ. ბულგანინი	იციირო ხატოიამა
დ. შეპილოვი	იციირო კონო
	სიუნიცი მაცუმოტო

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იაპონიის დოკუმენტებს

19 ოქტომბერს 17 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იაპონიის ერთობლივ დეკლარაციას და ოქმს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იაპონიას შორის ვაჭრობის განვითარებისა და ურთიერთისათვის უპირატესი მფარველობით მოსარგებლე ერის რეჟიმის მინიჭების შესახებ.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის დოკუმენტებს ხელი მოაწერენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა და იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა იციირო ხატოიამამ, მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრმა იციირო კონომ, პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის დეპუტატმა სიუნიცი მაცუმოტომ.

დოკუმენტების ხელმოწერას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ ამხანაგები გ. მ. მალენკოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ბ. არისტოვი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. იშკოვი, ი. გ. კაბანოვი, ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ნ. ტ. ფედორენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ი. თ. კურდიუკოვი, თ. თ. მოლოჩკოვი, მრჩეველი ნ. ბ. ადირხაევი.

იაპონიის მხრივ ხელმოწერას დაესწრნენ მინისტრთა კაბინეტის უფროსის მოადგილე ტაკეიძო მაცუმოტო და სხვა პირები, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ პრემიერ-მინისტრთან ერთად: მასამი ტაკაცუძი, კაცუხიკო ფუძიამა, კოტარო ვაკამია, მიცუტოსი ტაკახასი, სინსაკუ ხოგენი, კინ'ია ნიიძეკი, სიძუო საიტო, მაკოტო საიტო, ხაძიმო ნაგაი, აკირა სიგემიცუ, ტამოცუ ხირეოკა, იოსიო ნოგუჩი, სიგეტამი სუნადა, იოსიო ისიბასი.

ხელმოწერას დაესწრო საბჭოთა და უცხოეთის პრესის, რადიოს და კინოქრონიკის ბევრი წარმომადგენელი.

დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა იციირო ხატოიამამ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მეგობრულად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს. ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და იაპონიის მთავრობათა დელეგაციების სხვა წევრებმა. (საკდესი).

საბჭოთა კავშირისა და იაპონიის სრულუფლებიან წარმომადგენელთა თათბირი

19 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონფერენც-დარბაზში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ა. ა. გრომიკოს და იაპონიის სრულუფლებიანი წარმომადგენლის სიუნიცი მაცუმოტოს თათბირი.

წარმომადგენელთა თათბირს საბჭოთა კავშირის მხრივ ესწრებოდნენ: ნ. ტ. ფედორენკო, ლ. თ. ილიჩოვი, ი. თ. კურდიუკოვი, ნ. ბ. ადირხაევი, ე. ნ. ნასინოვსკი, ა. ა. როზანოვი და ი. ფ. ფილიპოვი. იაპონიის მხრივ — მიცუტოსი ტაკახასი, მასამი ტაკაცუძი, სინსაკუ ხოგენი, აკირა სიგემიცუ და მასახირო ნისიბორი.

სრულუფლებიანი წარმომადგენლები განაგრძობდნენ ერთობლივი დეკლარაციის პროექტის, აგრეთვე ვაჭრობის განვითარებისა და ურთიერთისათვის უპირატესი მფარველობით მოსარგებლე ერის რეჟიმის მინიჭების შესახებ ოქმის პროექტის განხილვას.

აზრთა გაზიარების შედეგად სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა შეთანხმეს შესაბამისი დოკუმენტების რედაქცია, რათა წარადგინონ სსრ კავშირისა და იაპონიის მთავრობათა დელეგაციების განსახილველად.

შეხვედრა მიმდინარეობდა საქმიან და მეგობრულ ვითარებაში.

დეპეშა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ დ. ტ. შეპილოვს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ჩინელი ხალხის სახელით უდიდეს მადლობას მოვახსენებთ საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-7 წლისთავის გამო მოლოცვისათვის.

ჩინელ ხალხს თავისი ბრძოლის მთელი განვლილი გრძელი გზის მანძილზე მუდამ ჰქონდა საბჭოთა ხალხის მუდმივი მხურვალე მხარდაჭერა და ამჟამად აგრეთვე სარგებლობს საბჭოთა კავშირის მთავრობისა და ხალხების უდიდესი დახმარებით სოციალისტური მშენებლობის საქმეში. დიდი მეგობრობა, რასაც საბჭოთა ხალხი ჩინელი ხალხისადმი იჩენს, მთელ ჩინელ ხალხს აღაფრთოვანებს თავისი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის უსწრაფესად განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ჩინეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა უკვე გახდა აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის მძლავრი ბურჯი, მისი გავლენა სულ უფრო დიდი ხდება და იგი ძვირფასია მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისათვის. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის დიდი მეგობრობა კვლავაც დღითიდღე განმტკიცდება და საუკუნეებში იცოცხლებს.

ვსარგებლობთ შემთხვევით და საბჭოთა ხალხს ვუთვლით საუკეთესო სურვილებს. საბჭოთა ხალხს ვუსურვებთ უფრო დიდ და ბრწყინვალე წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეში.

მაო ძე-დუნი
ლიუ შაო-ცი
ჯოუ ენ-ლაი.

1956 წლის 11 ოქტომბერი, პეკინი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იაპონიის მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრი იციირო კონო

18 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იაპონიის მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრი იციირო კონო, რომელიც მოსკოვში იმყოფება საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ მოლაპარაკებაზე იაპონიის მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში.

საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინგლისის პარლამენტის წევრი კონი ზილიაკუსი

18 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინგლისის პარლამენტის წევრი და ლეიბორისტული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე კონი ზილიაკუსი, რომელიც მოსკოვში იმყოფება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით და საუბარი ჰქონდათ მასთან. (საკდესი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო სერბიის პატრიარქი ბიკენტი

19 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო სერბიის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი ბიკენტი.

პატრიარქ ბიკენტის ახლდნენ დაბრობოსანის მიტროპოლიტი ნექტარი, შუმადის ეპისკოპოსი ვალერიანი, ბრანიჩევის ეპისკოპოსი ქრიზოსტომი, ბანატის ეპისკოპოსი ბესარიონი, იუგოსლავიის მართლმადიდებელ მღვდელთა კავშირის თავმჯდომარე დეკანოზი მილან სმილიანიჩი და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისაგან ხერსონისა და ოდესის არქიეპისკოპოსი ბორისი.

მიღებას დაესწრნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის სარწმუნოების საკითხთა კომისიის მდივანი მილოე დილპარიჩი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს წევრი გ. ტ. უტკინი. (საკდესი).

ნ. ა. ბულგანინისა და დ. ტ. შეპილოვის შეხვედრა სარდარ მუჰამედ დაუდთან და სარდარ ალი მუჰამედთან

19 ოქტომბერს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი შეხვდნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მის უმაღლესობას სარდარ მუჰამედ დაუდს და ავღანეთის პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილეს სარდარ ალი მუჰამედს.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ა. პ. პავლოვი და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი. ავღანეთის მხრივ დაესწრნენ ავღანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი აბდულ ჰაქმი, ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთოპოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი აბდულ რაჰმან პიუვაკი და ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში გულამ იაჰია თარზი.

შეხვედრის დროს, რომელმაც მეგობრულ და გულითად ვითარებაში ჩაიარა, მოხდა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მ. პ. ტარასოვმა მიიღო ავღანეთის პრემიერ-მინისტრი სარდარ მუჰამედ დაუდი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. პ. ტარასოვმა 18 ოქტომბერს კრემლში მიიღო ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მისი უმაღლესობა სარდარ მუჰამედ დაუდი.

სარდარ მუჰამედ დაუდს ახლდნენ პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე სარდარ ალი მუჰამედი, შინაგან საქმეთა მინისტრი აბდულ ჰაქმი, ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთოპოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი აბდულ რაჰმან პიუვაკი, აგრეთვე ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში გულამ იაჰია თარზი.

საუბრის დროს სარდარ მუჰამედ დაუდმა მ. პ. ტარასოვს გადასცა მისი უდიდებულესობის ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ-შაჰის წერილი, რომელიც გამოგზავნილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისათვის.

მ. პ. ტარასოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა წერილისათვის და თქვა, რომ გადასცემს კ. ე. ვოროშილოვს.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი. (საკდესი).

გავაუმჯობესოთ პოლიტიკური განათლების ხარისხი

გაიმართა თბილისის პარტიული კომიტეტების პროპაგანდისტთა, სემინარების ხელმძღვანელთა და ლექტორთა საქალაქო თათბირი. თათბირში მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა კაცმა. მოხსენება მიმდინარე სასწავლო წელს პარტიული განათლების ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ჭახრაკიამ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ სპობენ თბილისის პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ნაკლოვანებებს იდეოლოგიურ მუშაობაში, სძლევენ პარტიული პროპაგანდის მოწყვეტას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან.

ხელმძღვანელობდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით, ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს კომუნისტთა პოლიტიკური განათლების გაუმჯობესებისათვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების შესრულებასთან პარტიული პროპაგანდის კავშირის გაძლიერებისათვის. პოლიტიკური განათლების ყველა ფორმაში მიმდინარე წლის მარტიდან გაჩაღდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლა. ქალაქის მეტ წილ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში გასული სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში ძირითადად დამაკმაყოფილებლად დამთავრდა. შემაჯამებელი მეცადინეობა ჩატარდა ორგანიზებულად, მაღალ დონეზე. მაგრამ პოლიტიკურ სწავლებაში ბევრი ნაკლი იყო.

სერიოზული ნაკლოვანებები იყო აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლისას. კომუნისტები არ სწავლობდნენ მარქსიზმ-ლენინიზმს როგორც მთლიან მოძღვრებას, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ ეკონომიას, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, მეცნიერული კომუნიზმის თეორიას.

პოლიტიკურ განათლებაში კვლავ იჩენდა თავს ისეთი ღრმად ფესვგადგმული ნაკლოვანებები, როგორიც არის დოგმატიზმი და მედავითნეობა. პარტიული განათლების სისტემაში წრეებისა და სემინარების ბევრი მეცადინეობა ფორმალიზმისა და კაბინეტურობის დაღს ატარებდა. მთელი რიგი პროპაგანდისტები და ლექტორები სუსტად განუმარტავდნენ კომუნისტებსა და ყველა მშრომელთ უმნიშვნელოვანეს ახალ თეორიულ დებულებებს, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში, ხშირად გვერდს უვლიდნენ ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტთან დაკავშირებულ მწვავე საკითხებს.

არსებითი ნაკლოვანებები იყო აგრეთვე კომუნისტების დამოუკიდებელ სწავლაში. ზოგიერთმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ არასწორად გაიგო ნებაყოფლობის პრინციპი, შეპასუხსტა კონტროლი კომუნისტების დამოუკიდებელი სწავლისადმი, რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში თვითდინებით მიმდინარეობდა.

ემზადებოდნენ რა ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების სისტემაში, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, რაიკომებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს ბრძოლა იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მითითებათა შესრულებისათვის, იმ ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოფხვრისათვის, რომლებიც შარშან დაშვებული იყო კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციაში.

ახალ სასწავლო წელს პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს კომუნისტების ეკონომიურ განათლებას, მათ მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი პრობლემების, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის საკითხების შესწავლის ორგანიზაციას.

წელს პროპაგანდისტულ მუშაობაში ფართოდ არიან ჩაბმული საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებიც კარგად იცნობენ წარმოებას, მის ამოცანებს, შეუძლიათ უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ კომუნისტების პარტიული სწავლება საწარმოო ცხოვრებას.

თბილისის პარტიულ ორგანიზაციებში 1956-1957 სასწავლო წელს მოეწყო 658 პოლიტსკოლა და წრე. პარტიის რაიკომებსა და დიდ სამრეწველო საწარმოებში შექმნილია 8 საღამოს ორწლიანი ეკონომიური სკოლა. 5.000-ზე მეტი კომუნისტი და უპარტიო იმაღლებს იდეურ-თეორიულ დონეს 276 თეორიულ სემინარში, რომელთაგან 189-ში სწავლობენ პოლიტიკურ ეკონომიას და კონკრეტულ ეკონომიკას. 1.396 კაცი მეცადინეობს პარტიის საქალაქო კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტსა და მის ფილიალებში. 20 ათასამდე კომუნისტი და უპარტიო დამოუკიდებლად სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმს, პოლიტიკურ ეკონომიას, მრეწველობის კონკრეტულ ეკონომიკას.

პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წელი კარგად დაიწყეს სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, კამვოლ-მაუდის კომბინატის, № 2 თამბაქოს ფაბრიკის, აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის, № 1 სამკერვალო ფაბრიკისა და ბევრი სხვა საწარმოს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

მაგრამ, როგორც მომხსენებელი და კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, ახალი სასწავლო წლის უკვე პირველ დღეებში გამოვლინდა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი როგორც კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციაში, ისე მეცადინეობის შინაარსში.

პარტორგანიზაციების ზოგიერთმა მდივანმა ისე ჩარიცხა კომუნისტები პოლიტიკური განათლების სხვადასხვა ფორმაში, რომ არც კი უსაუბრია მათთან. ასე მოიქცა, მაგალითად, ხილის წყლების ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. დაუშვილი. საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომსომოლკას“ პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ა. ცხოვრებაშვილმა მექანიკოსი ამხ. მ. მემმარიაშვილი ჩარიცხა პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში ისე, რომ არ უსაუბრია მასთან.

თათბირზე აღნიშნავდნენ, რომ თბილისის კერამიკული კომბინატის, მაცივარკომბინატის, № 7 სამკერვალო ფაბრიკის, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და ზოგიერთ სხვა პარტიულ ორგანიზაციაში პირველმა მეცადინეობამ ახალ სასწავლო წელს ჩაიარა არაორგანიზებულად, დაბალ იდეურ დონეზე, მსმენელთა სუსტი აქტივობით.

№ 7 სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაციაში პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი ამხ. მელიქოვი მეცადინეობას ისე აწყობდა, რომ სარგებლობდა მხოლოდ კონსპექტით, რომელიც შედგენილი იყო „საკ. კპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან“ გაკეთებული ცალკეული ამონაწერებისაგან.

კომკავშირის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ს. მიქაძე და სხვები თავიანთ გამოსვლებში აღნიშნავდნენ, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად არ ზრუნავს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეების მუშაობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი საკითხი წამოაყენა თავის გამოსვლაში პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. შ. ხელაშვილმა. მიმდინარე სასწავლო წელს მნიშვნელოვნად გაძლიერდა კომუნისტების ინტერესი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებათა შესწავლისადმი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი. ამიტომ ბევრად გადიდდა მიმდინარე პოლიტიკის წრეების რიცხვი, რაც პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს სერიოზულად მოიფიქრონ ამ წრეების მუშაობის გეგმები და ყოველდღიური დახმარება გაუწიონ მათ.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო ლექციურ პროპაგანდაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხს.

პარტიის თბილისის კომიტეტმა და რაიონულმა კომიტეტებმა ამ ბოლო დროს ერთგვარი მუშაობა გასწიეს ლექციური პროპაგანდის გაუმჯობესებისათვის. მარტო პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ლექტორთა ძალებით გასულ სასწავლო წელს მოეწყო 4.053 ლექცია, აქედან 704 — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებზე.

მაგრამ ლექციური პროპაგანდა ჯერ კიდევ ვერ შეესაბამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

თათბირზე დაასახელეს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან მოწყვეტილი ლექციების მთელი რიგი მაგალითები. მაგალითად, პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორმა ამხ. კ. ჩიქოვანმა ქიმკომბინატის კოლექტივში წაიკითხა ლექცია თემაზე „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა მეექვსე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ტექნიკური პროგრესის შესახებ“. ლექტორს კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, თუ რა ამოცანები დგას ამ საწარმოს წინაშე შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ტექნიკური პროგრესის დარგში. ანალოგიური ნაკლოვანებები ახასიათებდა აგრეთვე პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორის ამხ. ლ. დეკანოსიძის ლექციას თემაზე — „პროდუქციის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები“, რომელიც მან წაიკითხა ქალაქის კომკავშირული აქტივისათვის.

ბევრი ლექტორის გატაცებაზე შორეული წარსულით, თანამედროვეობისაგან დაშორებაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში პარტიის თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ხ. როგავამ. მან გააკრიტიკა მთელი რიგი ლექციები, რომლებსაც კითხულობენ საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისა და რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სალექციო ბიუროს ლექტორები, განსაკუთრებით ხალხთა მეგობრობის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სალექციო ბიუროს ლექტორმა ამხ. გ. კვირკველიამ ლექციაში თემაზე „რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის დიადი მეგობრობა“ ძირითადი ყურადღება დაუთმო რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობის ისტორიულ ფესვებს, დაწყებული XII საუკუნიდან, მაშინ როცა ამ მეგობრობის განმტკიცებასა და გაფურჩქვნაზე დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მხოლოდ გაკვრით ილაპარაკა.

ლექციური პროპაგანდის სერიოზული ნაკლი იყო ის, რომ ბოლო დრომდე ქალაქში ძალიან ცოტა იკითხებოდა ლექციები სტალინის პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მართალია, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმის შემდეგ ლექციური პროპაგანდა ამ საკითხებზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მაგრამ ზოგიერთი ლექტორი ჯერ კიდევ არაორმად, ზერელედ განმარტავს სტალინის პიროვნების კულტის ანტიმარქსისტულ შინაარსს და მის შედეგებს, კონკრეტული ფაქტებით და მაგალითებით არ უჩვენებს, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა მან მთელ საბჭოთა ხალხს და კერძოდ, ქართველ ხალხს.

ბოლო დრომდე თბილისში თითქმის სრულებით არ ეწყობოდა ლექციები სომეხ, აზერბაიჯანელ და ქურთ მოსახლეობაში მათ მშობლიურ ენებზე.

ცოტა იკითხება ლექციები კონკრეტული ეკონომიკის აქტუალურ თემებზე.

თათბირზე გამოსულმა პარტიის მოლოტოვის რაიკომის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ამხ. ნ. იმედაძემ, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის პროპაგანდისტმა ამხ. ნ. ფილიმონოვმა სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლს და პარტიის რაიკომების პოლიტიკური განათლების კაბინეტებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ უწევენ საჭირო დახმარებას პროპაგანდისტებს.

თათბირზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკური გაზეთები და ჟურნალები საკმაოდ არ აშუქებენ პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებას, საუკეთესო პროპაგანდისტთა მეცადინეობის ორგანიზაციასა და მეთოდიკას.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს იმაზე, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლსა და პარტიის რაიონული კომიტეტების პოლიტიკური განათლების კაბინეტებში საჭიროა სისტემატურად ეწყობოდეს ხელმძღვანელ მუშაკთა ლექციები და მოხსენებები აქტუალურ პოლიტიკურ და საშეურნეო საკითხებზე, თეორიული კონფერენციები და კონსულტაციები მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის.

თათბირის შედეგები შეაჯამა პარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ. მან აღნიშნა, რომ გამოსულ ამხანაგებს მწვავედ არ გაუკრიტიკებიათ სერიოზული ნაკლოვანებანი ქალაქის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობაში, ამ მუშაობისადმი პარტიის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელობა.

ამხ. გეგეშიძემ აღნიშნა, რომ პარტიის რაიკომების ბევრმა მდივანმა პროპაგანდისტული მუშაობის, პოლიტიკური განათლების ხელმძღვანელობა მთლიანად გადააკისრა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებებს. იგი შეეხო პროპაგანდისტთა განათლების დონის ამაღლების საკითხებს, სერიოზულ ნაკლოვანებებს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გაძლიერდეს მოსახლეობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, რომელიც ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს. ზოგიერთი ლექტორი და პროპაგანდისტი გვერდს უვლის სტალინის პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევასთან დაკავშირებულ საკითხებს, არაფერს ამბობს ჩვენს ნაკლოვანებებსა და სიძნელეებზე, ცდილობს შეალამაზოს სინამდვილე.

პარტიული კომიტეტები ყოველდღიურად უნდა ხელმძღვანელობდნენ კომუნისტთა და ყველა მშრომელთა პოლიტიკური განათლების საქმეს, უნდა უზრუნველყონ მათი იდეური ზრდა და პოლიტიკური გამობრძმედა, განავითარონ მათი აქტივობა, თვითმოქმედება, შემოქმედებითი ინიციატივა იმ დიადი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რომლებიც მეექვსე ხუთწლედში მთელ საბჭოთა ხალხსა და საქართველოს მშრომელებს დაუსახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ. (საქდესი).

რესპუბლიკური თათბირი კოსმიური სხივების ფიზიკის დარგში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ თბილისში მოიწვია პირველი რესპუბლიკური თათბირი კოსმიური სხივების ფიზიკის დარგში. თათბირი რვა დღეს მიმდინარეობდა.

თათბირის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გამოჩენილი მეცნიერი ფიზიკოსები: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ალიხანოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ს. ვერნოვი (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ატომგულურ გამოკვლევათა გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი მ. დანიში (პოლონეთი), ელექტროფიზიკური ლაბორატორიის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ვ. ვექსლერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ა. ალიხანიანი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი მ. მეშჩერიაკოვი, პროფესორი ბ. პონტეკორვო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ე. ანდრონიკაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ვ. მამასახლისოვი, პროფესორი გ. ხუციშვილი და სხვ. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მეცნიერი ფიზიკოსები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ყაზახეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და სხვა მოძმე რესპუბლიკებიდან.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა პროფესორმა ე. ანდრონიკაშვილმა.

თათბირმა შეაჯამა საქართველოს მეცნიერთა მუშაობა იმ პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულია კოსმიური სხივების შესწავლასთან, ხელი შეუწყო ამ დარგში მომუშავე მეცნიერთა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მოსმენილ იქნა სამოცამდე მოხსენება. დიდი ინტერესი და გაცხოველებული კამათი გამოიწვია მოხსენებებმა, რომლებიც მიძღვნილი იყო არასტაბილური ნაწილაკების თეორიის, ნივთიერებებზე კოსმიური სხივების ზემოქმედების, ფართო ატმოსფერული ნაკადების და სხვა საკითხებისადმი.

თათბირის მონაწილეთათვის მოეწყო ექსკურსია მცხეთაში. მათ დაათვალიერეს ს. ჯანშიას სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, იყვნენ ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში და თბილისის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში.

ჩხორჰესის მშენებლობაზე

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრიდან ცოტა დაშორებით პატარა დაბა მდებარეობს. აქ არის საერთო საცხოვრებლები, სასადილო, პურის საცხობი, ხე-ტყის სახერხი და სხვა დამხმარე ნაგებობანი. ეს ჩხორჰესის სამშენებლო უბანია. სულ ახლოს ამ ადგილიდან ხობისწყალი შეუერთდება მდინარე ოჩხომურს. აიგება ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ყველაზე დიდი იქნება დღემდე აგებულ საკოლმეურნეობათაშორისო ელსადგურებს შორის.

ადგილობრივი კოლმეურნეობების გარდა მშენებლობაში მონაწილეობას მიიღებს ზუგდიდის რაიონის 7 კოლმეურნეობა. ელექტროსადგური საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 1960 წელს.

სააგიტაციო საუგრძეზე სატრაქტორო ბრიგადაში

აგიტატორად მუშაობის ოთხ წელზე მეტი ხნის გამოცდილება მაქვს. ამჟამად საუბრებს ვმართავ ახალსოფლის მტს-ის მერვე სატრაქტორო ბრიგადაში, რომელიც სოფლების ხურვალეთისა და ნადარბაზევის ყოლმეურნეობებს ემსახურება. გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ აგიტსაუბარს მხოლოდ მაშინ შეუძლია სასურველი შედეგის მოტანა, როცა იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული პრაქტიკასთან, ცხოვრებასთან. ამიტომ ყოველი საუბრისათვის წინასწარ გულდასმით ვემზადები.

გ. წვერავა.

საშემოდგომო თესვის დაწყების პირველ დღეებშივე სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორებთან მოვაწყე საუბარი თემაზე: „ვთესოთ მხოლოდ პროგრესული წესით — ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად“. საუბარში ხაზი გავუსვი ამ წესით თესვის დიდ უპირატესობას. დავასახელე მაგალითები: სოფელ ნადარბაზევის კოლმეურნეობაში წელს პროგრესული წესით დათესილი ნაკვეთებიდან ჩვეულებრივ ნათესთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე 2-3 ცენტნერით მეტი პური მიიღეს. წელს მთელ ფართობზე პური მხოლოდ პროგრესული წესით — ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად უნდა დავთესოთ.

საუბარი თანდათან გაცხოველდა. მექანიზატორებმა გამოთქვეს თავიანთი აზრი, წამოაყენეს საქმიანი წინადადებები. სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა დ. ხუროშვილმა განაცხადა:

—პრაქტიკა მოწმობს, რომ აუცილებელია ვთესოთ მხოლოდ პროგრესული წესით. ამას ჩვენგან კოლმეურნეობებიც მოითხოვენ. ჩემი აზრით საჭიროა მტს-ის დირექციის წინაშე დავაყენოთ საკითხი სატრაქტორო ბრიგადას დამატებით გამოეყოს ერთი ვიწრომწკრივიანი სათესი მანქანა.

ტრაქტორისტმა ი. მჭედლიძემ მოითხოვა სატრაქტორო ბრიგადისათვის სახნისების საჭირო მარაგის შექმნა.

აგიტსაუბრისას მექანიზატორთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ იმ დღესვე დავაყენეთ საკითხი მტს-ის დირექციაში, პარტბიუროში და მივაღწიეთ ყველა საკითხის მოგვარებას: სატრაქტორო ბრიგადას დამატებით მიეცა ერთი ვიწრომწკრივიანი სათესი მანქანა, შეიქმნა სახნისების საჭირო მარაგი.

ამ დღეებში მერვე სატრაქტორო ბრიგადა მთლიანად დაამთავრებს შემოდგომის ხორბლის თესვას გეგმით გათვალისწინებულ 500 ჰექტარზე მხოლოდ პროგრესული წესით. თესვაში ყველაზე მოწინავენი არიან ტრაქტორისტები ი. მჭედლიძე, მ. ქუჯაოლელი, ს. გელაძე, ლ. ბეგენგანაშვილი, გ. ქერდიყოშვილი, გ. ცუკაური და სხვები.

საშემოდგომო თესვასთან ერთად წარმატებით უნდა წარმოებდეს მზრალად ხვნაც. მაგრამ ეს სამუშაო სატრაქტორო ბრიგადაში ერთ ხანს ჩამორჩა. ღამეობით ხვნაზე მომუშავე ტრაქტორისტები ყოველთვის ვერ ასრულებდნენ ცვლის დავალებებს. ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით მოვაწყე საუბარი თემაზე: „სრული დატვირთვით გამოვიყენოთ ტექნიკა“. ჩამორჩენა მზრალად ხვნაში გამოწვეულია იმითაც, — განაცხადეს მსმენელებმა, — რომ მოუგვარებელია მექანიზატორთა დასვენება, მოწყობილი არ არის საველე ბინები.

ამ საქმის მოგვარებაში ჩავრიე მტს-ის დირექცია. საკითხი კოლმეურნეობათა გამგეობების წინაშეც დავაყენე. მალე ხურვალეთის კოლმეურნეობის გამგეობამ მექანიზატორებისათვის მინდვრად მოაწყო ბინა. სამწუხაროდ, ნადარბაზევის კოლმეურნეობაში ეს საქმე კვლავ მოუგვარებელია. კარგი იქნება, თუ ამაში დაგვეხმარება პარტიის გორის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი ახალსოფლის მტს-ის ზონაში.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მერვე სატრაქტორო ბრიგადა, ცალკეული მექანიზატორები ერთ-ერთი პირველნი ჩაებნენ. ბრიგადის წევრებმა იკისრეს დაამთავრონ საშემოდგომო თესვა ვადაზე 15 დღით ადრე, ხოლო მზრალად ხვნა — 20 დღით ადრე.

ამას წინათ ერთ-ერთი საუბარი საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას მივუძღვენი. მართალია, 1 ოქტომბრისათვის ბრიგადას მიმდინარე წლის სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა რბილ ხვნაზე გადაყვანით 104 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, მაგრამ დაბალი იყო ხვნის ტემპი. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ბრიგადის „დტ-54“ მარკის ორი ტრაქტორი შეფერხებებით მუშაობდა. ეს დაუყოვნებლივ ეცნობა მტს-ის მთავარ ინჟინერს. მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა, ხვნის ტემპი საგრძნობლად გაძლიერდა.

ჩემი მიზანი ის არის, რომ კიდევ უფრო მიმზიდველი, საინტერესო და ცოცხალი გავხადო აგიტსაუბრები, უფრო ღრმად და შინაარსიანად განვუმარტო მექანიზატორებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი და ამით დავეხმარო მათ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

მექანიკოსი გ. წვერავა,
გორის რაიონის ახალსოფლის მტს-ის მერვე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი.

ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში დარღვევათა წინააღმდეგ

თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ფართოდ არის გაჩაღებული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა, რომლის მასშტაბი წლითიწლობით მატულობს. მეხუთე ხუთწლედის წლებში თბილისში აშენდა 580 სახლი, რომელთა საერთო ფართობი 40.600 კვადრატულ მეტრს აღემატება, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში — 105 სახლი.

საცხოვრებელი სახლების მშენებელ მშრომელებს სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს. ინდივიდუალური მშენებლობისათვის გამოიყოფა მიწის ნაკვეთები, საშენი მასალები, მათ ეძლევათ დიდი გრძელვადიანი სესხები. გარდა მიწის სპეციალური ნაკვეთების გამოყოფისა, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გადასცემენ უვარგისობის გამო დანგრეული ძველი სახლების ნაკვეთებს. თბილისის საქალაქო საბჭო იძლევა აგრეთვე არსებულ სახლებზე დაშენებისა და მიშენების ნებართვას. ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი საშენი მასალების გამოშვების გასადიდებლად.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა, მისი განუწყვეტლივ მზარდი მასშტაბის პირობებში, უნდა მიმდინარეობდეს ორგანიზებულად, ქალაქის საერთო გაშენებისა და დაგეგმვის ზუსტი შესაბამისობით. იმისათვის, რომ ინდივიდუალურმა მშენებლობამ არ დაიკავოს სამრეწველო საწარმოებისა და მწვანე სანიტარული ზონებისათვის გაკუთვნილი მიწები, არ დაარღვიოს ქალაქის არქიტექტურული სახე, მიღებულია წესი, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალური სახლები შეიძლება აშენდეს მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის საბჭოს აღმასკომის შესაბამისი ნებართვით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის დადგენილი წესის დარღვევის მრავალი შემთხვევა. ცალკეული მოქალაქენი არ ემორჩილებიან არსებულ წესებს, თვითნებურად იკავებენ მიწის ნაკვეთებს, აშენებენ იქ უპროექტო სახლებს, სადაც ცხოვრობენ გაუწერლად, არღვევენ საპასპორტო რეჟიმს. მთელ რიგ შემთხვევებში სახლები შენდება იქ, სადაც არ არის წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროგანათება, გზები.

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მიწათსარგებლობის წესის დარღვევისა და თვითნებური საბინაო მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“, რომლის მიზანია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგება, მისი თვითნებურად წარმოების დაუშვებლობა, ამ საკითხში არსებული დარღვევების აღმოფხვრა.

ეს დადგენილება უფრო მკაცრ ღონისძიებებს ითვალისწინებს თვითნებური საბინაო მშენებლობის წინააღმდეგ. საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ევალებათ თვალყური ადევნონ საბინაო მშენებლობის სწორ წარმოებას. ყველა მოქალაქეს აკრძალული აქვს დაიწყოს რაიმე მშენებლობა, თუ არ ექნება შესაბამისი საქალაქო ან რაიონული საბჭოს ნებართვა. ამ წესის ბოროტი დამრღვევნი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის კანონით.

ამასთან ერთად შემუშავებულია ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგებას. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს წინადადება მიეცა ყოველწლიურად გამოჰყოს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის სულ ცოტა 300 ნაკვეთი. საქალაქო საბჭოებს შეუძლიათ ნება დართონ მოქალაქეთ დააშენონ მცირესართულიან სახლებს სახლმფლობელთა წერილობითი თანხმობით, ისე რომ გათვალისწინებულ იქნას ქალაქის არქიტექტურული გაშენების მოთხოვნების დაცვა. ტიპური პროექტებით ინდივიდუალური და კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების აგება ხელშეკრულების საფუძველზე ნებადართული აქვს საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობას. (საქდესი).

გაზეთების ფურცლებზე

ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით

ქუთაისის რაიონის საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მრავალი ეროვნების წარმომადგენელი მუშაობს. მარტო გუმათის მიდროელექტროსადგურების მშენებლობაში 23 ეროვნების წარმომადგენელი მონაწილეობს. ქართველებთან ერთად მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის თავდადებით მუშაობენ რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ოსები, ბელორუსები, მოლდაველები, უდმურტები, მორდველები, პოლონელები, ფინელები, ბულგარელები, ლატვიელები, ებრაელები, ლეკები და სხვ. რაიონში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ძმურ, მეგობრულ ურთიერთობაზე, მათს შემოქმედებითს შრომაზე ფართოდ მოუთხრობ მკითხველებს ამას წინათ ქუთაისის რაიონულმა გაზეთმა „სიმართლემ". გაზეთის ორ გაშლილ გვერდში სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა წერილებთან ერთად მოთავსებულია წარმოების მოწინავეთა პორტრეტები, დაბეჭდილი მასალები ნათელ წარმოდგენას იძლევიან იმაზე, თუ რა შრომითი წარმატებები აქვთ მათ ერთობლივ საქმიანობაში, როგორი თავდადებით იღწიან შრომის ახალი, მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის, საერთო წარმატების მოპოვებისათვის.

გულთბილი გრძნობების გამომხატველი მრავალი წერილი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ მეგობრულად ცხოვრობენ და ხელიხელჩაკიდებული შრომობენ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის შვილები საყვარელი საძმობლის სადიდებლად.

საინტერესო მასალა მოათავსა ხალხთა მეგობრობის თემაზე აგრეთვე ახალციხის რაიონულმა გაზეთმა „ წითელმა დროშამ". წერილში „შრომითი თანამეგობრობა" გაზეთი მოგვითხრობს, თუ როგორ მეგობრულად ცხოვრობენ და შრომობენ ტრაქტორისტები ანტონ ფეიერშვილი და რუბენ კარაპეტიანი. ქართველმა ტრაქტორისტმა ანტონმა სომეხ მეგობარს რუბენს ტრაქტორისტობა შეასწავლა და ახლა ისინი ერთად მუშაობენ ახალციხის მტს-ში. გაზეთს მოჰყავს იმის მეორე საგულისხმო მაგალითი, თუ რა შობლიური მზრუნველობით ეპყრობა ახალციხელი მეშახტე ზორკინ გალუსტიანი თავის მოწაფეს მნგრეველ ლ. დემეტრაძეს. შახტში მისვლისთანავე ლ. დემეტრაძე დაუმეგობრდა მოწინავე მნგრეველს გალუსტიანს, რომელმაც თავისი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარა ახალგაზრდა მუშას, შეაყვარა და შეასწავლა მეშახტის საპატიო საქმე. ახლა დემეტრაძე ერთი-ერთი მოწინავე მნგრეველია № 2 შახტში.

უკრაინელი პედაგოგები ხაშურში

ამას წინათ ხაშურს ესტუმრა უკრაინის სახალხო განათლების მუშაკთა დელეგაცია. როგორც რაიონული გაზეთი „ბოლშევიკის გზით" წერს, უკრაინელი პედაგოგები ესტუმრნენ ხაშურის პირველ საშუალო სკოლას. ისინი აქ გაეცნენ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის კაბინეტებს, სადურგლო და საზრდოსნო სახელოსნოებს და სხვ., ესაუბრნენ მასწავლებლებს. ქიმიის მასწავლებელმა დ. ჩიქოვანმა სტუმრებს უამბო თავის მუშაობაზე, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის იმ მეთოდებზე, რომლებსაც იგი ხშირად იყენებს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების სრულყოფილად დაძლევისათვის.

უკრაინელმა პედაგოგებმა მოისმინეს აგრეთვე სკოლის დირექტორის თ. ციცაბაძის და სასწავლო ნაწილის გამგის გ. მეტრეველის საუბრები, რომლებიც შეეხებოდა მაღალი აკადემიური წარმატებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის სკოლაში გაწეულ მუშაობას.

სტუმრებმა დათვალიერეს ხურამის მეორე საშუალო სკოლის კეთილმოწყობილი სახელოსნო. ისინი ეწვივნენ ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმს და ეცხალი ყვავილებით შეამკეს თავიანთი გამოჩენილი თანამემამულის ძეგლი.

მოღვაწეე მშრომელთა დელეგაცია ადიგენისა და ყვარლის რაიონებში

მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოლდაველთის სსრ რომანოვკის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებამ გადაწყვეტილება მიიღო ჩაბმულიყო სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს სსრ ადიგენის რაიონის მშრომელებთან. რომანოვკელები ვალდებულებას კისრულობდნენ წარმატებით დიმთავრებინათ მეექვსე ხუთწლედის პირველი სამეურნეო წელი, მკვეთრად აემაღლებინათ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ადიგენელმა კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს და მიიღეს მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა გამოწვევა.

შეჯიბრების გაჩაღების პირველი დღეებიდანვე ადიგენელ და რომანოვკელ კოლმეურნეთა შორის გულთბილი მიწერ-მოწერა და ურთიერთობა დამყარდა.

12 ოქტომბერს ადიგენში ჩამოვიდა მოლდაველ კოლმეურნეთა დელეგაცია. 14 კაცის შემადგენლობით.

ადიგენელმა კოლმეურნეებმა გულთბილად მიიღეს მოძმე ხალხის წარმომადგენლები. 13 ოქტომბერს მოლდაველები იყვნენ ადიგენის მერქანეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში, გაეცნენ სოფელ არლის ძეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა შრომითს საქმიანობას.

საღამოს გაიმართა დელეგაციის შეხვედრისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიტინგზე მეგობრობის გრძნობით აღსავსე სიტყვები წარმოთქვეს სოფელ არლის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ლ. ბათოშვილმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. გიგოლაშვილმა და სხვ.

რომანოვკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ცარანი მხურვალედ მიესალმა არლელ კოლმეურნეებს და ილაპარაკა თავისი სოფლის კოლმეურნეთა დიდებულ შრომაზე შშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დადგენილებათა განხილვებისათვის.

14 ოქტომბერს მოლდაველი სტუმრები იყვნენ სოფლების ბოლაჯურის, უღეს, ვარხნის კოლმეურნეობებში, ადიგენის მტს-ში, ნახეს კახარეთის საკოლმეურნეო ელექტროსადგურის შენებლობა.

16 ოქტომბერს ადიგენელებმა გულთბილად გაიცილეს თავიანთი ძვირფასი სტუმრები. გამგზავრების წინ დელეგაციის მეთაურმა ამხ. პ. სტეფანცევმა თქვა:

— ჩვენ საქართველოში ჩამოვედით შრომის მოწინავე მეთოდების ურთიერთ გაზიარების მიზნით. გვსურს ხანგრძლივი და მტკიცე მეგობრობა გვქონდეს ქართველ კოლმეურნეებთან. ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ თქვენთან, ჩვენც მზად ვართ გაგიზიაროთ გამოცდილება. ამიტომ გთხოვთ, ძვირფასო მეგობრებო, თქვენი დელეგაცია რომანოვკაში ჩაშოვიდეს რაც შეიძლება მალე.

შ. გურული,
რაიგაზეთ „ადიგენის კოლმეურნის" რედაქტორი,
ე. ხარებავა,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

* * *

16 ოქტომბერს მოლდაველ კოლმეურნეთა დელეგაცია ყვარლის ესტუმრა. ყვარელი კოლმეურნეები, მუშები და ინტელიგენცია გულთბილად მიესალმნენ მოძმე ერის წარმომადგენლებს. პიონერებმა მათ ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს.

კულტურის სახლში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ალ. ავაზაშვილი მხურვალედ მეესალმა მოძმე მოლდაველებს, ვრცლად ილაპარაკა ხალხთა დიდ მეგობრობაზე და რწმენა გამოთქვა, რომ მოლდაველები და ქართველები ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელად შესრულებისათვის.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის ბრიგადირი, ზოოტექნიკოსი მ. იმერლიშვილი, კოლმეურნეობა „კუდიგორის" თავმჯდომარე ა. ჩხიკვაძე, ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა შ. მარინინა და სხვები.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა პარტიის რომანოვკის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. პ. სტეფანცევმა.

17 ოქტომბერს დილით რომანოვკის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა დათვალიერეს ყვარლის საბჭოთა მეურნეობის ვენახები, აგრეთვე ღვინის ქარხანა. მოლდაველები დაინტერესდნენ ქინძმარაულის ღვინის დაყენების ტექნოლოგიით. მეურნეობის დირექტორმა თ. ბუჯიაშვილმა და მთავარმა აგრონომმა ი. ზაფტაშვილმა სტუმრებს დაწვრილებით მოუთხრეს მეღვინეების დამუშავების აგროტექნიკაზე, მექანიზაციის ზრდაზე.

სტუმრები იყვნენ ახალსოფლისა და შილდის სასოფლო-სამეურნეო არტელებში, სადაც დიდი ყურადღებით დათვალიერეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა.

ყვარლის რაიონის მშრომელებმა მეექვსე ხუთწლედის დავალებათა სასანღლოდ შესრულების მიზნით შეიმუშავეს სოციალისტური შეჯიბრების მუხლები და სთხოვეს რომანოვკის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციას გააცნოს იგი თავისი რაიონის მშრომელებს, რათა ისინი დათანხმდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმაზე. მოლდაველებმა ეს წინადადება მოიწონეს.

18 ოქტომბერს მოლდაველები თბილისს გაემგზავრნენ.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: მოლდაველ კოლმეურნეთა დელეგაცია ყვარლის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის საკვები ჭარხლის ნათესებში. ცენტრში: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ახოშვილი სტუმრებს უჩვენებს ჭარხლის ძირებს.

წერილები რედაქციას

იგზავნება თბილისური რეზერვუარები

დიდუბეში, მაუდ-კამკოლის ფაბრიკის პირდაპირ, ლენინისა და სტალინის რაიონების მიჯნაზე ისმის კიდევ ერთი ხაწარმოს მაგისცემა — ეს არის თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანა. იგი არსებობის ხამ ათეულამდე წელს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში ლითონკონსტრუქციების ქარხანა დედაქალაქის მოწინავე საწარმოთა რიგებში ჩადგა.

ქარხნის ძირითადი პროდუქცია სამი სახისაა: დიდი ტევადობის რეზერვუარები, სხვადასხვა ლითონკონსტრუქციები და ორასლიტრიანი კასრები.

ქარხნის ეს პროდუქცია განკუთვნილია ძირითადად მტს-ებისათვის და იგზავნება როგორც საქართველოს რაიონებში, ისე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მეტალურგიული ქარხნები აქ გზავნიან ნედლეულს — ფურცლოვან და კუთხოვან რკინას, თბილისში კი მისი გადამუშავებით, შედუღება-შეკვერებით ამზადებენ ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის საჭირო რეზერვუარებსა და კასრებს.

განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის კოლექტივის წინაშე მეექვსე ხუთწლედში. მიმდინარე წელს ქარხანამ 9 მილიონ 700 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გამოუშვას. 20 სექტემბრისათვის ქარხანამ არა მარტო შეასრულა მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა, არამედ ქვეყანას გეგმის გადამეტებით ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია მისცა.

ქარხნის კოლექტივი ჩაბმულია საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში წლიური გეგმის ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევს ამწყობ-შემდუღებელი საამქრო, რომელსაც ხელმძღვანელობს ინჟინერი კომუნისტი გ. შაფერდიანი. თვალსაჩინო გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს და მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევიან აწყობები ა. ყიფიანი და ვ. ხარატიშვილი, ელექტროშემდუღებელი ფ. თუმანოვი და სხვ.

თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანამ მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობით სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. ამასთან აღსანიშნავია, რომ ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა ჯერ კიდევ არ არის სათანადო სიმაღლეზე. მცირეა ქარხნის ტერიტორია, მეტად მოკლეა შიდასაქარხნო რკინიგზის ჩიხი, რაც აფერხებს ვაგონების ოპერატიულად დატვირთვა-გადმოტვირთვას. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წინაშე დასმულია ქარხნის ტერიტორიის გაფართოების (ახალი ადგილის შერჩევის) და სხვა ტექნიკურ გაუმჯობესებათა საკითხი. სამინისტრომ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხების სწრაფად მოგვარებას, მაშინ ქარხნის კოლექტივი კიდევ უფრო მეტი ენერგიით და უფრო ნაყოფიერად იმუშავებს.

ინჟინერი ნ. ტურიაშვილი,
თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

სურათზე: ვაგონების დატვირთვა ქარხნის მზა პროდუქციით— რეზერვუარებით, რომელიც იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რა აფერხებს მეფუტკრეობის განვითარებას სამხრეთ ოსეთში?

სამხრეთ ოსეთში მეფუტკრეობის განვითარების კარგი პირობებია. ბევრი კოლმეურნეობა ხელსაყრელად იყენებს არსებულ შესაძლებლობებს და ენერგიულად იბრძვის მეფუტკრეობის განვითარებისათვის. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სოფლების მარმაზეთის, ქსუისის, დმენისისა და არცევის კოლმეურნეობებში ყოველწლიურად ფუტკრის თვითეულ ოჯახზე იღებენ 20-დან 40 კილოგრამამდე თაფლს.

მიმდინარე წელს სოფელ მარმაზეთის კოლმეურნეობაში მიიღეს 1.200 კილოგრამი სასაქონლო თაფლი და 90 კილოგრამი სანთელი. საფუტკრე აქ კარგად შემოღობილი და დაცულია, ირგვლივ დათესილია თაფლისშემცველი მცენარეები. საფუტკრის გამგე დ. ბოლათაევი საქმის მოყვარული და ენერგიული მუშაკია.

მაგრამ ყველგან ასე არ არის საქმე. ბევრ კოლმეურნეობაში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მეფუტკრეობის განვითარებას: არ იძენენ საჭირო ინვენტარს, სუსტად ეხმარებიან მეფუტკრეებს, ცუდად აწყობენ ფუტკრის წამლობას, მომთაბარეობას და სხვ. კიდევ მეტი. ზოგან მეფუტკრეობა აღმავლობის ნაცვლად ჩამორჩა. მაგალითად, სოფელ კუსირეთის კოლმეურნეობას, რომელსაც წინათ ფუტკრის 30 ოჯახი ჰყავდა, ახლა მხოლოდ 10 ჰყავს. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ სვერის კოლმეურნეობაში, ხოლო ბელითის, ელტურას და სხვა სოფლების კოლმეურნეობებს, სადაც მეფუტკრეობის განვითარების ხელსაყრელი პირობებია, ფუტკრის არცერთი ოჯახი არა ჰყავთ.

არის კოლმეურნეობები (ბოსელთა, ყემულთა და სხვ.), სადაც ფუტკარი მოთავსებული ჰყავთ პრიმიტიულ სკებში.

ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, მტს-ები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ დარგის განვითარებას. ცუდად ხელმძღვანელობს მეფუტკრეობას სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოც. ეს საქმე თვითდინებაზეა მინდობილი.

დროა, სათანადო ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ ამ მეტად სასარგებლო დარგის განვითარებას.

დ. ბაგლოევი,
მეფუტკრე სპეციალისტი.

მეჯი ციტრუსები საამშობლოს

დიდი ხანია, რაც ციტრუსოვანთა პლანტაციებში ვმუშაობ. ციტრუსები, განსაკუთრებით ლიმონი, სათუთი მოსავლელია და დიდ მზრუნველობას მოითხოვს. მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბრიდან დავიწყე. დეკემბრის პირველ ნახევარში დავამთავრე ნარგავების მსუბუქი შებარვა, ყინვებისაგან დასაცავად განვახორციელე მთელი რიგი ღონისძიებანი. 15 აპრილამდე დავამთავრე ნიადაგში ორგანული სასუქების შეტანა. სანამ ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის ნაყოფი თხილის კაკლის ოდენა გახდებოდა, მცენარეები 5-ჯერ შევწამლე გოგირდის კირნახშირით.

მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარ პლანტაციაზე გასულ წელს 34.000 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი მივიღე და ჩავაბარე სახელმწიფოს. დავალება 135 პროცენტით გავანაღდე. წელს გათვალისწინებული მაქვს იმავე ნაკვეთზე მივიღო 40.000 ცალი ნაყოფი. მოსავალს კარგი პირი უჩანს, ნაკისრ ვალდებულებას გავანაღდებ.

ამჟამად ჩავები საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ციტრუსების მოსავალი დროულად და უდანაკარგოდ ავიღო.

მ. ჩავლეიშვილი,
მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კოლმეურნეობის წევრი.

სახელოვან მწყემსთა ცხოვრებიდან

ნოდაის ვრცელ მინდვრებზე იმ ღამეს ღრუბლიანი ზეცა გადმოპირქვავებულიყო და ისეთი სიბნელე იდგა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდით. მწყემსთა ერთ-ერთ სახლში, რომელიც ბაჯიგნის მასივში დგას და შორიდან სამკურნალო დაწესებულებას მოგაგონებთ, შრომით დაღლილ მწყემსებს ეძინათ.

ბინაში მარტო ერთი კაცი ფხიზლობდა. ეს გახლდათ ყველაზე გამოცდილი მწყემსი შიო ნაზღაიძე, რომელიც დროდადრო ფანჯრიდან ზეცას შეჰყურებდა, სადაც ახლა საავდრო ღრუბლები აშლილიყო.

საწოლის კრიჭინზე ვალიკოს გამოეღვიძა და შიოს ოხვრა რომ გაიგონა, იფიქრა, ალბათ რაიმე სტკივა და იმიტომ კვნესისო.

— ძია შიო, ხომ არაფერი გაწუხებს? — შეეკითხა.

— მაწუხებს, შვილო, აი ამინდის ამბავი მაწუხებს.

ვალიკოს გაუკვირდა. აგერ იანვარი თავდება, მაგრამ ნოღაეთში მაინც შემოღგომის სითბო დგას და ძია შიოს რაღა ადარდებსო, — იფიქრა.

— მე კი მეგონა ზამთარი შეიძლება ისე გავიდეს, თოვლის ნასახი ვერ ვნახოთ-მეთქი, — თქვა ნახევრადძინარე ვალიკომ.

შიომ საეჭვოდ თავი გაიქნია და, ამხანაგები რომ არ გაეღვიძებინა, ხმადაბლა უპასუხა:

— ჯერ სადა ხარ, ბიჭო, თებერვალი წინ გვიდგეს...

შიოს ეშვები უსაფუძვლო როდი გამოდგა. მართლაც, თებერვლის დასაწყისში ცამ პირი გახსნა და პირველი თოვლი ჩამოყარა, სადღაც პოლარეთში ამოვარდნილმა ქარმა ათასობით კილომეტრი გაითარეშა და საძოვრების გაშლილ ვაკეებზე საშინელ ქარიშხლად გადაიქცა, გლეჯდა ტელეგრაფის მავთულებს, ანგრევდა ცხვრის ბინებს და ჰაერში ისეთ კორიანტელს აყენებდა, რომ სუნთქვაც კი ჭირდა.

წვიმა, სეტყვა და თოვლი მეცხვარისათვის უცნო არ არის, მაგრამ სულ სხვაა რვაბალიანი ქარიშხალი, რომელსაც შეუძლია ზღვის უზარმაზარი ტალღები ნაპირიდან შორს გადატყორცნოს. ასეთ დროს გემები სასწრაფოდ ნავსადგურისაკენ მიეშურებიან, გარეული ფრინველი მყუდრო ადგილს ეძებს, ველის ჯეირანიც კი, რომელიც ისედაც სიჩქარეში ავტომანქანას არ ჩამოუვარდება, შეშინებული ტყვიისავით მიჰქრის კასპიისპირეთის უსასრულო სივრცეში.

ნოდაის ველს ზღვასავით დასასრული არ უჩანს, ადგილადგილ ტალღისებურად შემაღლებულ ტრამალებში თავის შესაფარებელ ადგილს ვერ იპოვნით, მწყემსის იმედი ასეთ ჯოჯოხეთურ ამინდში მხოლოდ ცხვრის ბინები და წინასწარ დამზადებული საკვებია, და ეი იმას, ვინც დროზე არ იფიქრებს ბუნების მოსალოდნელ სტიქიაზე.

ოცი დღე და ოცი ღამე არ შეწყვეტილა ქარიშხალი ნოღაეთში. როგორც საზამთრო საძოვრების ყველა უბანზე, ისე ბაჯიგანის მასივში მყოფი მწყემსებიც ვაქკაცურად ებრძოდნენ მოვარდნილ განსაცდელს. ასეთ ამინდში ცხვრის გარეთ გაყვანაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, ამიტომ მათ ათასნაირი საქმე ჰქონდათ. ისინი ბინებში ეზიდებოდნენ თივას და წყალს. ფარეხების სახურავიდან ხვეტდნენ თოვლს, ღამით ფარნის შუქზე დარაჯობდნენ ჩვილ ბატკნებს.

ერთ ღამეს მოხდა ის, რაც ყველაზე მეტად აშინებდათ მწყემსებს. გათენებისას, როცა დაღლილმა ადამიანებმა წუთით ჩათვლიმეს, გაშმაგებულმა ქარმა ერთბაშად ასწია ფარეხის სახურავი, ათას ნაწილებად დაშალა ჩალის საფარველი და ისეთი გამყინავი ქარიშოტი დატრიალა, რომ რამდენიმე ხანში ბატკნებს აშკარა დაღუპვა ელოდა.

არის ადამიანის ცხოვრებაში ისეთი წუთი, როცა მისი ხსნა მხოლოდ სწრაფ მოსაზრებაშია. არავის ახსოვს, პირველად ვის მოაგონდა ბაზალეთის კოლმეურნეობის ბინა, რომელიც აქედან არც ისე შორს, ბაჯიგანის მობირდაპირე მხარეს არის აგებული.

ცხადია, ცხვრის გადარჩენა შეიძლებოდა მხოლოდ იმ პირობით, თუ სასწრაფოდ გადარეკავდნენ პირუტყვს მეზობლების ბინაში. ძვირფასი იყო თვითეული წუთი. ამიტომაც კომბლეებითა და ხელის ფარნებით შეიარაღებულმა მწყემსებმა უმალვე გაირეკეს ცხვარი და ხელების ქნევითა და ყვირილით ფარა იქითკენ შეაბრუნეს, საითაც ბაზალეთელების ბინა ეგულებოდათ.

ძნელი იყო წელამდე თოვლში სიარული, უფრო ძნელი იყო ქარსა და ყინვაში ჩვილი ბატკნების გადაყვანა, მაგრამ სხვა გზა მწყემსებს არ ჰქონდათ.

— ეჰე... ჰეეე. — ყვიროდა გაოფლიანებული თავჩამანი, ყეფდნენ შეშინებული ძაღლები, საცოდავად ბღოოდნენ ყურებამდე თოვლში ჩაფლული ბატკნები და ყველაფერ ამას გამყინავი ქარის ღმუილი უერთდებოდა.

...ახალგაზრდა მწყემსმა ვეღარ მოითმინა, მხრებიდან თოფი მოიხსნა და ამხანაგების გასამხნევებლად თუ მეზობლების გასაგონად ჰაერში გაისროლა.

სროლის ხმაზე ძაღლებმა გნიასს უმატეს, სადღაც სინათლემ გაიელვა და ცოტა ხნის შემდეგ დილის ბინდბუნდში ადამიანები გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ ბაზალეთელი მწყემსები იაშა სანაშვილი, ლექსო ებიტაშვილი, აბა წიკლაური.

ახლა საშიში აღარაფერი იყო. მწყემსებმა საერთო ძალით გაირეკეს ცხვარი და მალე დათბუნებულ ბინაში იყვნენ. ასე გადარჩა დაღუპვას ხუთასამდე ჩვილი ბატკანი.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ქარიშხალი ჩადგა და ნოღაეთში გაზაფხულის პირველი სითბო დატრიალდა, ფშაველი მეცხვარე ალექსი ანთაური წარსული ზამთრის მოსაგონებლად სახელდახელოდ ნათქვამ ლექსს დამღეროდა:

ლექსს ვამბობ დალონებული,
გული არ დაიშლისაო,
შემოტრიალდა ბუნება,
ციდან თოვლ ჩამოყრისაო,
ზღვაც ჩვენი მტერი გამხდარა,
ქარიშხალს გადმოყრისაო,
ცდილობს, რომ დასცეს თავზედა
თბილი ბინები ცხვრისაო,
დაგლეჯა ბაკის კარები
ნაკეთი ჩალებისაო...
ნეტაი მალე მოხვიდე,
თვეო შე მაისისაო...
ერთსაც არ მოგკლავთ შიშშილით,
ცხვარო, შე მეტისისაო...

ირგვლივ მწვანით დაფარულ მინდვრებს ცხვრის თეთრი ფარები მოსდებოდა, ასეთსავე ფარებს ჰგავდა ზეცაზე მოფარფატე ღრუბლები. უხაროდათ მწყემსებს, რომ უკან მოიტოვეს მკაცრი ზამთარი და, სიმღერისა არ იყოს, შიმშილით არცერთი ბატკანი არ დაღუპვიათ...

* * *

შიო და ვალიკო ნაზღაიძეებს ამ დღეებში სოფელ მლეთაში შევხვდით.

ბიძა-ძმისწულს საშინაო საქმეებისათვის ორდღიანი შვებულება ეიღოთ. შიოს წმინდად გაეპარსა ქარისა და მზისაგან გაწითლებული სახე, ახალი ხალათ-შარვალი და კოხტა ჩექმები ეცვა, მკერდზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ნიშანი უბრწყინავდა, ვალიკო კი თავის მორთულობით იმ ახალგაზრდას ჰგავდა, საქორწილოდ რომ მოამზადებენ ხოლმე.

შიოს ორსართულიანი სახლის აივანზე ვიჯექით. აქედან კარგად ჩანდა კაბშაურის აღმართი, დაკეცილ არშიასავით რომ მისდევს პიტალო კალდეებს. სოფლის გარშემო ოდნავ შეყვითლებული მთები იდგნენ, ხოლო ქვემოთ — პირდაღებული ხეობა, რომელშიც რძესავით თეთრი არაგვი მიიკვლევს გზას.

ადრეც გვქონდა შენიშნული, რომ ნაზღაიძეს თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარს. ახლაც ვერაფერი ვთქვეინეთ, მაგრამ დიასახლისი ცელი ხინკლით და შინაური არაყით რომ გაგვიმასპინძლდა, შიოც, როგორც იქნა, საუბრის ეშხში შევიდა.

გვიამბო, რომ წელს მლეთელებმა საუკეთესოდ გამოაზამთრეს ცხვარი, რომ თვითეულს ნაპარსმა მარტო გაზაფხულზე ორ კილოგრამს მიაღწია. ეს მაშინ, როცა გეგმა თვითეულ ცხვარზე წელიწადში 2,6 კილოგრამი მატყლის მიღებას ითვალისწინებს.

ქვემოთ, სამხედრო გზაზე საბარგო ავტომანქანების ქარავანმა ჩაიარა და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ შიომ თქვა:

— ადამიანი ჩვენს დროში გაცილებით ჭკვიანი და ღონიერია, ვიდრე უწინ. აი თუნდაც ჩვენი ცხვრის ჯიშიანობის ამბავი ავიღოთ. ძველათ ამ საქმეს ყურადღებას არავინ აქცევდა, ისე როგორც ყურადღება არ ექცეოდა მწყემსების ბინების მშენებლობას. ოთხოდე წლის წინათ არც დღისითა და არც ღამით ადამიანური დასვენების საშუალება არა გვქონდა, ვამყოფებოდით მიწურ ქოხებში. ბოლისაგან თვალები გვქონდა გამომწვარი... სულ სხვაა ახლა, ყველას აქვს სახლი და ლოგინი, აბანო და ცხელი კერძი.

— ჰოდა ცხვრის ჯიშიანობის შესახებ იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენ ახლა მესამე თაობის მეტისები გვყავს. გინახავთ, როგორი მატყლი აქვთ? ნახევრადნაზი, ბრეშუმივით რბილი. ახალი ჯიშის ცხვარს მატყლი ხომ აქვს და აქვს, არც ღონე აკლია, სიარულში თუშურს არ ჩამოუვარდება.

შეეკითხეთ შიოს: შეუძლიათ თუ არა კოლმეურნეობებს უახლოეს ხანში გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რომელიც მეექვსე ხუთწლედით არის დასახული.

— მაშ როგორ? — გაიკვირვა შიომ, — ჩვენ, მაგალითად, მიმდინარე წელსვე ვასრულებთ პერსპექტიულ გეგმას, ვიძლევით იმდენ მატყლს, რძეს, ხორცსა და სხვა პროდუქტებს, რამდენიც 1960 წლისათვის გვქონდა დასახული...

საუბარი კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზე გამგზავრების საკითხს შეეხო, და სანამ შეეტყობოდით, რომ მლეთელებს ნოღაეთში უკვე საკმარისი საკვები დაუმზადებიათ, ახალგაზრდა ვალიკომ ლაპარაკი თერგი-ყუმის არხზე ჩამოაგდო... თვალწინ წარმოგვიდგა ხორშაკებით გადახრუკული ველები, სადაც ზოგიერთ ზაფხულს სიცხისაგან ისე გადაშავდება ბალახი, რომ გეგონებათ გიგანტურ ხანძარს გადაუვლიაო.

შიოს მწვანეთურ სახეზე ღიმილმა გაიელვა, ჭიქები შეავსო და იმ ადამიანების სადღეგრძელო შესვა, ვისაც ნახევრადუდაბნოში გაჰყავს ასეული კილომეტრი სიგრძის არხები, ვინც სინამდვილედ აქცევს ადამიანთა საუკუნეობრივ ოცნებას.

— სწორედ ბაჯიგანზე მოვა თერგის წყალი, ამწვანდება საძოვრები, კაცის სიმაღლე ბალახი ხალიჩებად დაეფინება ნოღაეთს... — დაუმატა ვალიკომ.

ჩვენთან ერთად მაგიდასთან შიოს მეზობელი ექვთიმე ბურდული იჯდა, რომელიც მლეთაში ყველაზე უხუცესი კაცად ითვლება. ნოღაეთის ამბებს რომ ისმენდა, ბერიკაცი კარგა ხანს გაჩუმებული იჯდა, შემდეგ კი, თითქოს ნაფიქრალი უნებურად წამოსცდაო, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— წინათ სხვანაირად ვფიქრობდით.

ვალიკომ ვერ გაიგო, რის თქმა სურდა ბაბა ექვთიმეს:

— რაზე ფიქრობდით, არხებას გაყვანაზე?

— ყველაფერი ღვთისაგან არის — სიღარიბეც და სიმდიდრეც, წყალიც და უწყლობაკო, — აი რაზე ვფიქრობდით, — უპასუხა ექვთიმემ.

— ახლა რაღას იტყვი?

— ყველაფერი ადამიანისაგან არის, ქვეყნის ბატონ-პატრონი კაცია. ტყუილად არ უთქვამთ: თუ ხალხი მოინდომებს, ლომისის მთასაც ადგილიდან დასძრავსო...

* * *

ტრამალები გაშლილი წიგნია, მაგრამ მისი წაკითხვა ყველას როდი შეუძლია. როდის და სად არის ნოყიერი ბალახი? სად მოვაძოვოთ, ვთქვათ, თოხლი ცალკე და ბატკანი ცალკე? როგორ მოვიქცეთ, როცა ობოლი კრავები გვყავს და სხვა ცხვარი ძუძუს არ აძლევს?

ბევრი, ძალიან ბევრი უნდა იცოდეს მწყემსმა.

შიო ნაზღაიძემ არა მარტო ტრამალების წაკითხვა იცის, არამედ ზეპირად ახსოვს მლეთის ალპური საძოვრების ყველა უბანი. საკუთარი ხუთი თითივით იცის ცხვრის მოვლა-პატრონობის ყველა წვრილმანი და ამ ცოდნას, რომელიც ათეული წლების მანძილზე აქვს შეძენილი, ხალისით უზიარებს ახალგაზრდა მწყემსებს.

დიდი ხანი კი არ არის, რაც ვალიკო ნაზღაიძე ცხვარში წავიდა, მაგრამ შიოსთანა მწყემსების დახმარებით მალე დაეუფლა რთულ პროფესიას, ყველას თავი შეაყვარა და ერთი წლის შემდეგ მეცხვარ

ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი ეცნობა მოსკოვს

ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა სარდარმა მუჰამედ დაუდმა და მისმა თანმხლებმა პირებმა 18 ოქტომბერს დაიწყეს მოსკოვის ცხოვრების გაცნობა.

დღის პირველ ნახევარში მათ დაათვალიერეს მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა. გაიცნო რა სტუმრებს საწარმო, მთავარმა ინჟინერმა კ. ვ. სტოროგანოვმა უამბო მათ, როგორ ზრდიდა ქარხანა თავისი არსებობის წლებში საწარმოო სიმძლავრეებს. 1924 წელს, როცა ქარხანა დაარსდა, მან მხოლოდ 400 ავტომობილი გამოუშვა. ახლა მისი კონვეიერიდან ყოველ სამ წუთში ჩამოდის ავტომობილი. ავღანეთის პრემიერ-მინისტრი დაინტერესდა „ზილ“ ავტომობილების ტვირთამწეობით, იმით, თუ რა საწვავით მუშაობენ ისინი.

საინსტრუმენტო, სამსხმელო, საავტობუსო და სხვა საამქროებში ავღანელი სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ საწარმოო პროცესებს, წარმოების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. ისინი განსაკუთრებით დაინტერესა მთავარი კონვეიერის მუშაობამ.

სარდარმა მუჰამედ დაუდმა და მისმა თანამგზავრებმა დაათვალიერეს გამოშვებული პროდუქციის ნიმუშები — მსუბუქი მანქანები, სატვირთო და საქალაქთაშორისო ავტობუსები.

ავღანეთის მთავრობის მეთაურს აინტერესებდა ქარხანაში კადრების მომზადების საკითხი.

რომელ საამქროშიც უნდა შესულიყვნენ ავღანელი სტუმრები, მათ გულთბილად ხვდებოდნენ მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები. მთავარ კონვეიერზე აწყობის განყოფილების უფროსმა მ. ა. მიხაილოვმა სთხოვა სარდარ მუჰამედ დაუდს საბჭოთა კავშირის მუშების მხურვალე სალამი გადასცეს მეგობარ ავღანელ ხალხს. მადლობა გადაიხადა რა გულთბილი მისალმების სიტყვებისათვის, ავღანეთის მთავრობის მეთაურმა თავის მხრივ ავღანელი ხალხის სალამი გადასცა საბჭოთა ხალხს.

დიდხანს იყვნენ ავღანელი სტუმრები ქარხნის კულტურის სახლში. პრემიერ-მინისტრმა და მისმა თანამგზავრებმა დაათვალიერეს ძირითადი ბიბლიოთეკა, აგრეთვე საბავშვო ბიბლიოთეკა. ისინი იყვნენ მხატვრული თვითმოქმედების წრეების სამეცადინო ოთახებში, თეატრალურ დარბაზში.

ლიხაჩოვის სახელობის ქარხნიდან წასვლისას სარდარმა მუჰამედ დაუდმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა საწარმოში ყოფნის გამო. ქარხანაში ყოფნის სახსოვრად პრემიერ-მინისტრს მიართვეს ქარხნის ხელების ალბომი.

18 ოქტომბერს დღის მეორე ნახევარში ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენები. გამოფენების ტერიტორიებზე ავტომანქანებით მოგზაურობის შემდეგ სტუმრები გაემართნენ მთავარ პავილიონში. აქ ისინი გაეცნენ ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკის განვითარებას, კერძოდ, სსრ კავშირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნის პროექტს, სოფლის მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვას, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. ავღანელი სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია საანგარიშო ელექტრომანქანებმა, მათ შორის მანქანებმა, რომლებსაც შეუძლიათ უცხო ენებიდან თარგმნა.

მუჰამედ დაუდი და მისი თანამგზავრები დიდი ყურადღებით ეცნობოდნენ უზბეკეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის განვითარებას. ბევრი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომლებიც ამ რესპუბლიკებში მოჰყავთ, გავრცელებულია აგრეთვე ავღანეთში. ავღანეთის მთავრობის მეთაურს აინტერესებდა მებამბეობა, მეხალეობა, მებოსტნეობა, საკვების მოყვანა, აბრეშუმის მრეწველობის განვითარება, საირიგაციო სამუშაოები, აგრეთვე მრეწველობის მდგომარეობა ეროვნულ რესპუბლიკებში, კულტურის განვითარება.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მიართვეს ტაჯიკური ეროვნული ხალათი და სხვა საჩუქრები.

მუჰამედ დაუდმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დიდი დრო მოანდომეს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მედიცინაში ატომის ენერგიის გამოყენების, აგრეთვე საბჭოთა მანქანათმშენებლობის გაცნობას. მათ დაათვალიერეს გაძლიერებული გაელადობის ტრაქტორები, სამარგლი, სათრეველი ტრაქტორები, ახალი მარკების მსუბუქი ავტომანქანები, ჰიდროელექტროსადგურების მოწყობილობის ნიმუშები.

დასასრულ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გამოსაყვან წრეში ავღანელ სტუმრებს აჩვენეს სხვადასხვა ჯიშის ცხენები.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს, ავღანეთის დელეგაციის წევრებს ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ა. პ. პავლოვი, არმიის გენერალი ი. ვ. ტიულენევი, აგრეთვე ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში გულამ იაჰია თარზი, საელჩოს მეორე მდივანი მუჰამედ ჰასიმ ვალი. (საკდესი).

ბირმის კავშირის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია საქართველოში

19 ოქტომბერს დილით ბირმის კავშირის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბირმის განათლებისა და კულტურის მინისტრი უ ტუნ ტინი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილეების ვ. ი. ჭიაურელისა და ა. ა. დვალიშვილის თანხლებით, გაემგზავრა ქალაქ მცხეთაში, სადაც გაეცნო ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლებს. შემდეგ დელეგაციის წევრები იყვნენ დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ ისინი დაინტერესდნენ მეურნეობით, ხელფასის სისტემით და მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებით.

თბილისში დაბრუნების შემდეგ დელეგაცია განაგრძობდა ქალაქის გაცნობას. ბირმელი სტუმრები იყვნენ ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში. მათ დაათვალიერეს სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები, კლასები, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, იყვნენ მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის სახელოსნოებში, რომლებშიც ხორციელდება პოლიტექნიკური სწავლება. დელეგაციის წევრებს დაწვრილებით აინტერესებდათ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწყობა.

ილაპარაკა რა თავის შთაბეჭდილებებზე, ბირმის განათლებისა და კულტურის მინისტრმა უ ტუნ ტინმა დაგვიანებულ ბაზეთ:

— საბჭოთა სკოლაში შექმნილია ბავშვთა ნაყოფიერი სწავლისა და აღზრდის ყველა პირობა.

სკოლაში დელეგაციის ახლდა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მ. ი. ბურჭულაძე.

დელეგაციის ერთ-ერთი ჯგუფი იყო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

საღამოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დარბაზობა გამართა ბირმის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ ჯინი. (საქდესი).

ეგვიპეტი უარყოფს ინგლის-საფრანგეთის გეგმას

ქაირო, 18 ოქტომბერი. (საკდესი). კომენტარს უკეთებენ რა კომუნიკეს, რომელიც პარიზში მომხდარ ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა, ეგვიპტის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისსა და საფრანგეთს ხელი არ აუღიათ განზრახვაზე თავს მოახვიონ ეგვიპტეს სუეცის საკითხზე რეზოლუციის თავიანთი პროექტის ის ნაწილი, რომელიც უშიშროების საბჭომ უარყო საბჭოთა კავშირის მხარდაჭერის მეოხებით.

როგორ შეიძლება შემდგომი მოლაპარაკების წარმატების იმედი ვიქონიოთ, წერს გაზეთი „ალ-აჰბარი“, როცა ინგლისი და საფრანგეთი კვლავ ცდილობენ მიაღებინონ ქვეყნების ჯგუფის ლონდონის თაობრის გადაწყვეტილებანი. ცნობილი მიმომხილველი ანვარ სადათი „ალ-გუმჰურიაში“ წერს, რომ ეგვიპტემ უკვე კატეგორიულად უარყო და უარყოფს ყოველგვარ წინადადებას, რომელიც დაკავშირებული იქნება სუეცის არხისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესებასთან.

ეგვიპტელ ბელადთა ერთიანობა

ძვირფასი სტუმრები თბილისში

მეზუთე დღეა თბილისში სტუმრად იმყოფება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის ახალგაზრდათა დელეგაცია. გუშინ სტუმრები დილაადრიან ეწვივნენ თბილისის დიდ საწარმოო რაიონს — ლენინის რაიონს და გაეცნენ ახალგაზრდობის შემოქმედებითს ცხოვრებასა და საქმიანობას.

სტუმრებმა დაათვალიერეს ავჭალის შამპანური ღვინოების კომბინატი — შამპანური ღვინოების ბიბლიოთეკა, ლაბორატორია; ნახეს შამპანურის ჩამოსხმა, ლიქიორის, ბიოქიმიური, გაფორმების, ღვინო-მასალების, ბოთლების სამრეცხაო საამქროები და სხვ.

კომბინატის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები გულთბილად შეხვდნენ მოსკოველ სტუმრებს.

მოსკოველ ახალგაზრდათა დელეგაციის წევრები იყვნენ ღვინო-მასალების საამქროში, რომელსაც საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქარხნო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა აქვს მიკუთვნებული. სტუმრები აქ გაეცნენ საამქროს კედლის გაზეთის ახალ ნომერს, რომელიც ლაპარაკობს ახალგაზრდა მუშების შრომითს მაჩვენებლებზე, ეცნობიან შამპანურის დადულების ქიმიურ პროცესებს.

სტუმართა შორის ნახავთ მრავალ ჭაბუკსა და ქალიშვილს, რომლებიც უბის წიგნაკებში იწერენ საკუთარ შთაბეჭდილებებს. მოსკოვის ილიჩის სახელობის ელექტრომრავლების ქარხნის მოწინავე მუშამ ა. ზაიცევმა, რომელიც დელეგაციის შემადგენლობაშია, განაცხადა:

— ძვირფასი და დაუვიწყარია ჩემთვის მზიური საქართველოში სტუმრობის დღეები. მე პირადად ჩემს ამხანაგებს გავუზიარებ შთაბეჭდილებებს ქართველ ხალხზე და რესპუბლიკის საწარმოთა მაჩვენებლების შესახებ. ისინი გამოქვეყნდება ჩვენი საქარხნო გაზეთის ფურცლებზე და საწარმოს ბევრი ადამიანი მრავალ ახალს შეიტყობს საბჭოთა საქართველოს მოწინავე ახალგაზრდობის შემოქმედებითს შრომაზე.

... ავჭალის შამპანური ღვინოების კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა ძვირფასი სტუმრები გააცილეს გამოსასვლელამდე.

შემდეგ სტუმრები ეწვივნენ ნავთლუღში თბილისის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკას, სადაც ნახეს კერვის უკანა პროცესი.

დელეგაციის წევრები დაინტერესდნენ იმით, თუ როგორ ემზადება ფაბრიკის კოლექტივი ახალგაზრდობის რაიონულ და საქალაქო ფესტივალში მონაწილეობის მიღებისათვის.

ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშებთან გამომშვიდობებისას მოსკოვის ბურთულა საკიბარების პირველი ქარხნის მუშამ ბ. სერგეევმა განაცხადა:

— მოსკოვში ჩასვლისას ჩვენი ქარხნის ახალგაზრდობას გადავცემთ იმ უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას, რომელიც ჩვენ ვიგრძენით თბილისში ყოფნის დროს. ჩვენი შეხვედრები შემოხვევითი არ არის. ეს არის საბჭოთა ადამიანებს შორის ურთიერთპატივისცემის და მეგობრობის გამოხატულება.

მოსკოველი სტუმრების სპორტსმენთა ჯგუფმა ინახულა საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზკულტურული და სპორტული აღზრდის კათედრა და სპორტო ბაზები. მათ საუბარი ჰქონდათ ინსტიტუტის მოწინავე სპორტსმენებთან. შემდეგ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კეთილმოწყობილ სახპორტო დარბაზში გაიმართა შეჯიბრება ფრენბურთში. პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წინააღმდეგ თამაშობდნენ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრენბურთოელები. თამაში მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა და დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით, ანგარიშით 3:1.

ნაშუადღევს კალინინის რაიონის მუშა ახალგაზრდობამ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში შეხვედრა მოუწყო მოსკოველ სტუმრებს. შეხვედრაზე სტუმრებმა და მასპინძლებმა გულთბილი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. მოსკოველებმა და თბილისელებმა ერთმანეთს მიართვეს ძვირფასი საჩუქრები. ასეთივე შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს ლენინის რაიონის მუშა ახალგაზრდებმა სართაგ-ხატრიკოტაჟო კომბინატის კლუბში.

საღამოს თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის უნივერსიტეტის საამტო დარბაზში მოსკოველთა დელეგაციის წევრების პატივსაცემად გაიმართა მეგობრობის საღამო, მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმა და უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

ბ. ბახტურიძე.

• • •

სურათზე: მოსკოვის ახალგაზრდობის დელეგაციის ერთი ჯგუფი თბილისის შამპანური კომბინატის მზა პროდუქციის საამქროში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ქურნალი „პოლიტიკური თვითგანათლების დასახმარებლად“

1957 წლის იანვრიდან გამოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალი ყოველთვიური ჟურნალი „В помощь политическому самообразованию“ („პოლიტიკური თვითგანათლების დასახმარებლად“). ჟურნალი მოწოდებულია დაეხმაროს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელებს, აგრეთვე ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს კომუნისტების პოლიტიკური თვითგანათლების დაყენებაში და მისდამი ხელმძღვანელობაში.

ჟურნალი „პოლიტიკური თვითგანათლების დასახმარებლად“ სისტემატურად გამოაქვეყნებს თეორიულ სტატიებს, ლექციებსა და კონსულტაციებს პოლიტიკური ეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, სკკპ ისტორიის საკითხებზე, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ სტატიებს და სტატიებს პოლიტიკური თვითგანათლების მეთოდიკისა და პრაქტიკის საკითხებზე (სასწავლო გეგმები, მეთოდური დამუშავება, რჩევა-დარიგება კონსულტანტებს, სემინარების ხელმძღვანელებს და ყველას, ვინც პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მუშაობს). ჟურნალში აგრეთვე დაიბეჭდება საცნობარო ხასიათის მასალები ჩვენი ქვეყნის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და უცხოეთის სხვა სახელმწიფოების ცხოვრებაზე.

ხელმოწერას ჟურნალზე „პოლიტიკური თვითგანათლების დასახმარებლად“ იღებენ „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილება, საფოსტო განყოფილებები, ბეჭდვითი სიტყვის საზოგადოებრივი გამავრცელებლები. ხელმოწერის ფასი ერთი წლით — 18 მანეთი, ნახევარი წლით — 9 მან., ცალკეული ნომერი—1 მან. 50 კაპ.

ინჟინერ-მექანიზატორის ბიბლიოთეკა

ჯემალ ბიწაძე ახალგაზრდა ინჟინერია. მან გასულ წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი. პირველ წელსვე ხიდნაღის რაიონის ულიანოვკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში დაიწყო მუშაობა უბნის მექანიკოსად. კომკავშირელმა ინჟინერმა მალე პატივისცემა დაიმსახურა მექანიზატორებს შორის. იგი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებით როდი დაკმაყოფილდა, ახლაც ბევრს კითხულობს. ყოველდღიურად ბეჯითად სწავლობს და იმდიდრებს ინსტიტუტში მიღებულ ცოდნას. ბიწაძეს პატარაობითვე უყვარდა კითხვა, ამიტომ ჩვევად გადაექცა ახალი წიგნის ყიდვა. ახლა მის პირად ბიბლიოთეკაში 8 ათასზე მეტი წიგნია. მათ შორის არის ტექნიკური, მხატვრული ლიტერატურა, ისტორიული და პოლიტიკური შინაარსის წიგნები.

ამ უკანასკნელ ხანს ახალგაზრდა ინჟინერმა თავისი ბიბლიოთეკა გაამდიდრა ახალი ტექნიკური ლიტერატურით: „ავტომობილები და ტრაქტორები“, „ს-80“—მარკის ტრაქტორის რემონტი“, „ტრაქტორების ხადაზელი ხაწვავის ტუმბოები“, „ავტომობილებისა და ტრაქტორების ელექტროგაყვანილობა“ და სხვ.

ინსტიტუტში მიღებული თეორიული ცოდნას ჯ. ბიწაძე უნარიანად იყენებს პრაქტიკულ მუშაობაში, გულდასმით სწავლობს ახალი ტიპის მანქანებს, ეცნობა სიახლეს მექანიზაციაში. ამასთან თავისი უბნის სატრაქტორო ბრიგადებში ხშირად აწყობს შინაარსიან საუბრებს. „დტ-54“ მარკის ტრაქტორის სწორ ექსპლატაციაზე მოწყობილმა საუბარმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია მექანიზატორთა შორის. მან სახელოსნოს მუშაკებს გააცნო მანქანების ამა თუ იმ დეტალის სადეფექტო აქტებიხ შედგენის წესი. ახალგაზრდა ინჟინერმა მექანიზატორთა თხოვნით გამართა საუბარი მტს-ში ახლახან მიღებული „ბელარუსისა“ და „დტ-54“ მარკის ტრაქტორების ექსპლუატაციის და გამოყენების შესახებ.

ჯ. ბიწაძის ბიბლიოთეკა მდიდარია ქართველ, მოძმე რუსპუბლიკებისა და უცხოელ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებებით, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებით. იგი წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობით იმაღლებს იდეური ცოდნის დონეს. ამასთან, როგორც მტს-ში არსებული პოლიტსკოლის პროპაგანდისტი, საპროგრამო თემების მომზადებაში ფართოდ იყენებს დამხმარე პოლიტიკურ ლიტერატურას.

ბ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ლონდონში დიდი თეატრის ბალეტის მსახიობთა გასტროლების გამო

ლონდონი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს დიდი თეატრის მსახიობებმა კვლავ უჩვენეს ინგლისელ მაყურებლებს ასაფიცეის ბალეტი „ბაღჩისარაის შადრევანი“. როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბჭოთა ბალეტის მსახიობებმა, გაითვალისწინეს რა ინგლისელების დიდი ინტერესი გასტროლებისადმი, გადაწყვეტეს გაახანგრძლივონ თავიანთი ყოფნა ინგლისში და გამართონ დასის წამყვან ოსტატთა სამი კონცერტი თეატრ „დეგისში“, რომელიც ლონდონის გარეუბან კროიდონში მდებარეობს. ამ გადაწყვეტილებას ბალეტის ინგლისელ მოყვარულნი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

თუმცა საბჭოთა მსახიობების კონცერტებზე ბილეთების გაყიდვა თეატრ „დეგისის“ სალაროებში მხოლოდ დღეს იწყება, უკვე გუშინ შუადღისათვის თეატრის შენობასთან დადგა დიდი რიგი. ბევრმა თან მოიტანა დასაკეცი სკამები და საბნები. ძლიერი წვიმის მიუხედავად ხალხს არ დაუტოვებია რიგი.

რიგი გაჩნდა აგრეთვე თეატრ „კოვენტ-გარდენის“ სალაროთან, სადაც გაიყიდება გარკვეული რაოდენობა ბილეთებისა საბჭოთა მსახიობების კონცერტებზე კროიდონში.

საბჭოთა მოქალაქეები სამშობლოში დაბრუნდნენ კანადიდან და ინგლისიდან

ლენინგრადი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ლენინგრადის ნავსადგურში ჩამოვიდა ტურბინელექტრომავალი „ვაჩესლავ მოლოტოვი“. მის მგზავრებს შორის არის კანადიდან და ინგლისიდან რეპატრიირებული საბჭოთა მოქალაქეების დიდი ჯგუფი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

გულგარეთი

სოციალისტური განვითარების გზაზე გადასვლამდე ბულგარეთი ეკონომიურად ჩამორჩენილ სახელმწიფოდ ითვლებოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ქვეყნის ჩამორჩენილი მეურნეობა გერმანელ დამპყრობთა მიერ ძარცვის შედეგად მთლად დაძაბუნდა. საბჭოთა არმიამ, რომელმაც გაათავისუფლა ბულგარეთი იმპერიალისტთა უღლისაგან, მოუტანა მას ეროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ თავიდანვე ენერგიული ზომები მიიღო ქვეყნის ჩამორჩენილი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განსავითარებლად.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ამჟამად ფართოდ განვითარებულია მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, მეტალურგიული, ქიმიური, საფეიქრო, კვების მრეწველობა და სხვ.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობის შემდგომი აღმავლობის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მდიდარი ენერგეტიკული ძალების გამოყენება. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ამ საკითხს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებულ უურადღებას აქცევს. თუ ადრე—ბურჟუაზიის ბატონობის პერიოდში ენერგეტიკა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ ჩამორჩენილ დარგად ითვლებოდა და ჰიდროენერგიის უხვი წყაროები ნაკლებად იყო გამოყენებული, სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების პირველ წლებშივე, კერძოდ უკვე 1946 წელს ელექტროენერგიის წარმოებამ 430 მილიონ კილოვატ-სათს მიაღწია, რითაც 1939 წლის ელექტროენერგიის წარმოების დონეს 56 პროცენტით გადააჭარბა. ჯერ კიდევ 1947-49 წლებში მწყობრში ჩადგა დიდი ელექტროსადგურები, მათ შორის სოფიის სტალინის სახელობის უმსხვილესი თბოელექტროცენტრალი, რომლის მშენებლობაში ბულგარეთის ძმური დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირმა. ამჟამად ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ენერგიული ღონისძიებების შედეგად ქვეყნის ელექტროფიკაციის საკითხი ძირითადად წარმატებით არის გადაჭრილი.



სურათზე: სოფიის სტალინის სახელობის თბოელექტროცენტრალი.

ფოტო ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოსი.

საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა

21 ოქტომბრისათვის

პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — საბჭოთა სიმღერები, 11.00 — „პიონერთა დფიონის“ საკვირაო გამოშვება, 11.30 — სპორტული გადაცემა — „ყურადღება სტარტზე!“, 12.15— ახალგაზრდობის სიმღერები, 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 15.15— საუბარი: „კოჯრის სკოლა-ინტერნატში“, 15.30 — კონცერტი მ. ნაკაშიძის, ნ. ბელაქნელის და ლ. გოცირიძის მონაწილეობით, 16.00 — იყევსკის „ზენიტისა“ და თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან, 17.00 — საუბარი საერთაშორისო თემაზე, 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ი. დიკის ლირიკული კომედია „გოგონები და ბიჭები“, 20.30 — ნარკვევი „კუბის მუსიკა“.

რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით

21.00 — გადაცემა ციკლიდან „ჩვენი რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში — ქვემო სვანეთი, 21.30 — კონცერტი ლენტეხის რაიონის მშრომელთა დაკვეთით, 22.00 — ლიტერატურული გადაცემა — სცენები სპექტაკლებიდან, 22.40 — ქართული საესტრადო მუსიკა.

მეორე პროგრამით

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე

21.00 — რადიომამოხილვა „ნიკოლო პაგანინი“, პირველი ნაწილი, 22.10 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ მიმოხილვა, 18.15 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00 — გადაცემა აზარბაიჯანულ ენაზე.

ᲓᲦᲔ

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — აიდა, **რუსთაველის სახელობის** — ლერწამი ქარში, **მარჯანიშვილის სახელობის** — მოკვეთილი, **გრიბოედოვის სახელობის** — შემთხვევითი შეხვედრები, **სომხური დრამის** — ზვავი, **მუსიკალური კომედიის** — სამი პატარძალი (სეზონის გახსნა), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ოჯახი (7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მშვენიერი ვასილისა (10 ს.), **თოჯინების ქართული** — ნატვრის თვალი (10 ს. და 2 ს.), **ფილარმონია** — გ. რომანოვის კონცერტი (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო) **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ორმოცდამეერთე, **კომკავშირელი, დიდუბე** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ვოროშილოვის სახელობის კლუბი**— სხვადასხვა ბედი, **ორჯონიკიძის სახელობის პარკი, კოლხიდა** (საზამთრო), **ისანი** (საზაფხულო), **ოფიცერთა სახლი** — მეორე სიჭაბუკე, **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ბატონი 420 (II სერია), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — ავარა (I და II სერია), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ყალბი ფული (I და II სერია), **ფილარმონიის ბაღი** — ჰეკა-ქუხილი, **თბილისი** — არ არის მშვიდობა ზეთისხილის ბაღებში.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ ა. წ. 23 ოქტომბრიდან ღია მომსვლელთათვის ყოველდღე დღის 11 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ორშაბათი გამოსასვლელი დღეა. კვირაობით მუზეუმი მუშაობს დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1957 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ ყოველთვიურ ჟურნალზე „В помощь политическому самообразованию“. ჟურნალი გათვალისწინებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის.

ჟურნალი გამოაქვეყნებს თეორიულ სტატიებს, ლექციებს, კონსულტაციებს პოლიტიკურ ეკონომიაში, კონკრეტულ ეკონომიკაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში, სკკპ ისტორიაში, კრიტიკის, ბიბლიოგრაფიის. პოლიტიკური თვითგანვითარების მეთოდიკისა და პრაქტიკის საკითხებზე.

„სოიუზპეჩატი“.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

21 ოქტომბერს

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობა „ბ“ კლასის გუნდებს შორის

„ᲖᲔᲜᲘᲢᲘ“ (იჟევსკი) — ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ (თბილისი)

დასაწყისი 3 საათზე.

ბილეთები იყიდება „დინამოს“ სტადიონის და კიროვის სახელობის პარკის სალაროებში.

თამაშის დღეს ბილეთები გაიყიდება კიროვის სახელობის პარკისა და ფიზკულტურის სახლის (სანაპირო № 1) სალაროებში დილის 10 საათიდან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ ამზადებს ფოტოგამოფენებს თემაზე:

სკკპ XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და ცალკე საქართველოს სს რესპუბლიკის ხაზით, რუსულ და ქართულ ენებზე.

დაკვეთები მიიღება ყოველდღე.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი 16.

მოქალაქე **ნინო გიორგის ასულმა ზარიძემ**, მცხოვრებმა წყნეთის გზატკეცილზე № 31, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **დიმიტრი ნიკოლოზის-ძე თათიხაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ილია სერგოს-ძე ფირცხალავამ**, მცხოვრებმა რიონჰესის ქ. № 33, აღძრა საქმე ლენინის ქუჩის შესახვევი № 23 მცხოვრებ მოქალაქე **ზინა პავლეს ასულ ფირცხალავასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლო.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1957 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ ამზადებს ფოტოგამოფენებს თემაზე:

სკკპ XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და ცალკე საქართველოს სს რესპუბლიკის ხაზით, რუსულ და ქართულ ენებზე.

დაკვეთები მიიღება ყოველდღე.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი 16.

მეუღლე მარიამ, შვილები კუკური, ეთერ, და ანიკო, რძლები ქეთო ხაჩიძე, ლიუდმილა ჭუმბურიძისა ოჯახებით იუწყებიან

ივანე ირაკლის-ძე ჭუმბურიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-X, 8 ს. გამოსვენება 21-X, 4 ს.